



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა

სსიპ- საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.04.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21.07.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	8
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	8
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	26
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია დადელიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Business administration and sport management
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413, მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტაცია 2031 წლის 20 მარტამდე, 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადაში მონიტორინგის განხორციელების პირობით გადაწყვეტილება №391430, 2024 წლის 3 აპრილი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბერს (ოქმი N13). პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე, თბილისში, ორ მისამართზე — ვაჟა-შაველას გამზ. 76ბ და ე. ნინოშვილის ქ. N55.

პროგრამა მიეკუთვნება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს (ბაკალავრიატი), ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს და 0413 კოდს. პროგრამის დასრულების შემდეგ მინიჭებული კვალიფიკაციაა „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“.

პროგრამის მოცულობაა 240 ECTS კრედიტი, ხანგრძლივობა — 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი. სასწავლო წელი სემესტრული პრინციპით არის აგებული და ერთი სემესტრი 19 სასწავლო კვირას მოიცავს. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის დროს.

კრედიტების განაწილება სტრუქტურის მიხედვით შემდეგნაირია: თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები — 40 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები — 30 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები — 125 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კურსები — 35 კრედიტი და პრაქტიკის კომპონენტი (სტაჟირება) — 10 კრედიტი. პროგრამას სრული დატვირთვის შემთხვევაში შეუძლია მოემსახუროს 400 სტუდენტს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- ვიზიტი განხორციელდა ონლაინ 2026 წლის 30 აპრილს, სიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების გეგმიური მონიტორინგის მიზნით. ინტერვიუები ჩატარდა ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა პირველი, მეორე სტანდარტი და მეხუთე სტანდარტის 5.1 კომპონენტი.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: არ შეფასდა

სტანდარტი 4: არ შეფასდა

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით.
- რეკომენდირებულია, პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის მიზანი რამდენიმე ქვემიზნად დაიყოს, რაც შესაბამისობის რუკის ინფორმაციულობას გააძლიერებს. ამჟამად მიზანი ერთიანი, გაერთიანებული ფორმულირებითაა წარმოდგენილი და გაუგებარია, თუ მიზნის რომელი კომპონენტი — მაგალითად, „მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა“ ან „სოციალური პასუხისმგებლობა“ — რომელ კონკრეტულ სწავლის შედეგს ემსახურება. ქვემიზნებად დაყოფა ამ კავშირს გამჭვირვალეს გახდიდა და საშუალებას მისცემდა შემმოწმებელს და სტუდენტს ნათლად დაენახა, თუ პროგრამის რომელი მიმართულება რომელ კომპეტენციას ემსახურება.
- სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლებით გაძლიერდეს. ამჟამად შეფასების შედეგები მხოლოდ „დადებითი შეფასების“ სახით არის მითითებული, რაც არ იძლევა საკმარის ინფორმაციას — კერძოდ, არ ჩანს რამდენმა სტუდენტმა მიაღწია სამიზნე ნიშნულს, რა იყო საშუალო მაჩვენებელი და ნიშნულის ვერმიღწევის შემთხვევაში რა გამოსწორებითი ღონისძიება განხორციელდა. მონიტორინგი მხოლოდ შედეგების ფიქსაციის ახდენს, და არა მათზე რეაგირების ინსტრუმენტია. **სასურველია** პროგრამამ შეიმუშაოს შეფასების შედეგების დოკუმენტირების უფრო დეტალური ფორმატი, რომელშიც მითითებული იქნება სამიზნე ნიშნულს მიღწეული სტუდენტების პროცენტული

მაჩვენებელი, ნიშნულთან შედარების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუმჯობესებისთვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე
- უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი, რომელშიც იზიარებს ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ყველა რეკომენდაციასა და რჩევას.
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია კონკრეტულად — მომზადდეს ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის სფეროში კომპეტენტური სპეციალისტები ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის, ზოგადი განათლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ჩათვლით. მიზნები ნათელია და ბაკალავრიატის საფეხურისთვის შესაბამისი. 240-კრედიტიანი, 4-წლიანი სტრუქტურა და 8-სემესტრული განაწილება ყოველ სემესტრში 30 კრედიტით — სტანდარტული და რეალისტური ჩარჩოა.

პროგრამა ასახავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის ინტეგრირებულ ხასიათს. სასწავლო გეგმა ლოგიკურად არის აგებული — ზოგადი ბიზნეს-დისციპლინებიდან (კალკულუსი, მიკრო/მაკროეკონომიკა, ბუღალტრული აღრიცხვა) სპეციფიკური სპორტის მენეჯმენტის კურსებისაკენ (სპორტის ეკონომიკა, სპორტის მარკეტინგი, სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი). ბაკალავრიატის საფეხურს შეესაბამება კურსების სიღრმე — ჭარბობს პრინციპებისა და საფუძვლების სწავლება, განმტკიცება კი ძირითადად ბოლო სემესტრებში ხდება.

8 სწავლის შედეგი კარგად მოიცავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამ განზომილებას: კრიტიკული მსჯელობა (შედეგი 1), ანალიტიკური უნარები (შედეგი 2), ტექნოლოგიების გამოყენება (შედეგი 3), წერიითი კომუნიკაცია (შედეგი 4), სპორტის ინდუსტრიის სპეციფიკა (შედეგები 5–6), ეთიკური კომპეტენცია (შედეგი 7) და ზეპირი/წერიითი კომუნიკაცია (შედეგი 8). სწავლის შედეგების რუკა კარგი ინსტრუმენტია — ნათლად ჩანს, თუ რომელი კურსი რომელ შედეგს ემსახურება

პროგრამა ასახავს სფეროს განვითარებაში წვლილს — კავშირი სახელმწიფო სპორტის პოლიტიკასთან (მთავრობის 2013 წლის N127 დადგენილება), პრაქტიკული სტაჟირება სპორტულ ფედერაციებში და ფიტნეს კლუბებში, ასევე უნივერსიტეტის ფართო მისიასთან (ჯანსაღი ცხოვრების წესი, სპორტის განვითარება) კავშირი — ეს ყველაფერი პოზიტიურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი N3) ნათლად აჩვენებს, რომ ყველა 8 სწავლის შედეგი პროგრამის ერთ გაერთიანებულ მიზანს უკავშირდება. კავშირი ლოგიკურია — სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნას (შედეგები 1, 5, 7), უნარებს (შედეგები 2, 3, 4, 8) და კომპეტენციას/პასუხისმგებლობას (შედეგები 6, 7). პროგრამის მიზანი ერთიანი, გაერთიანებული ფორმულირებითაა წარმოდგენილი, რაც შესაბამისობის რუკის ინფორმაციულობას ამცირებს. კერძოდ, გაუგებარია, თუ მიზნის რომელი კომპონენტი — მაგალითად, „მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა“ ან „სოციალური პასუხისმგებლობა“ — რომელ კონკრეტულ სწავლის შედეგს ემსახურება. მიზნის რამდენიმე ქვემიზნად დაყოფა ამ კავშირს გამჭვირვალეს გახდიდა და შესაბამისობის რუკას მნიშვნელოვნად გააძლიერებდა.

რჩევა:

სასურველია პროგრამის მიზანი რამდენიმე ქვემიზნად დაიყოს, რაც შესაბამისობის რუკის ინფორმაციულობას გააძლიერებს. ამჟამად მიზანი ერთიანი, გაერთიანებული ფორმულირებითაა წარმოდგენილი და გაუგებარია, თუ მიზნის რომელი კომპონენტი — მაგალითად, „მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა“ ან „სოციალური პასუხისმგებლობა“ — რომელ კონკრეტულ სწავლის შედეგს ემსახურება. ქვემიზნებად დაყოფა ამ კავშირს გამჭვირვალეს გახდიდა და საშუალებას მისცემდა შემოწმებელს და სტუდენტს ნათლად დაენახა, თუ პროგრამის რომელი მიმართულება რომელ კომპეტენციას ემსახურება.

სწავლის შედეგების შეფასების ცხრილი (დანართი 4) ადასტურებს, რომ შედეგები გაზომვას ექვემდებარება — თითოეულს აქვს კონკრეტული საზომი მეთოდი (პირდაპირი: შუალედური შეფასება, დასკვნითი გამოცდა, პრეზენტაცია; არაპირდაპირი: პრაქტიკის მენტორის შეფასება, სტუდენტის თვითშეფასება), კონკრეტული დრო და სამიზნე ნიშნული (60% ან 80%). სამიზნე ნიშნულები

მიღწევადი ჩანს — 2022–2025 წლების მონაცემებით ყველა შედეგი „დადებით შეფასებად“ არის ჩამოყალიბებული.

კვალიფიკაცია — „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“ (0413, მე-6 დონე) — სწავლის შედეგებთან შეთანხმებულია. შედეგების ზმნებით ფორმულირებები (მსჯელობს, ახდენს, შეიმუშავებს, ამზადებს, განმარტავს, აიდენტიფიცირებს, აღწერს, აწვდის) ძირითადად ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება-ანალიზის დონეს შეესაბამება, რაც ბაკალავრიატისთვის სათანადოა.

პროგრამა მიუთითებს ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეზე. პროფესიული სტანდარტებთან კავშირი ნახსენებია პროგრამის ტექსტში — მოიხსენიება სფეროს ფართო ცოდნა, კრიტიკული გააზრება, კომპლექსური პრობლემების გადაჭრა.

დასაქმების სფეროები (სახელმწიფო და კომერციული სპორტული დაწესებულებები, ფედერაციები, ფიტნეს კლუბები, სპორტული საწარმოები) პირდაპირ ასახულია სწავლის შედეგებში — კომუნიკაციის უნარი (შედეგი 8), პრობლემების იდენტიფიცირება (შედეგი 6), ორგანიზაციების მართვა (შედეგი 5) ამ გარემოში ლოგიკურად გამოსადეგია. მაგისტრატურაზე გადასვლის შესაძლებლობა ნახსენებია.

პროგრამა სტაჟირებას სავალდებულოდ ითვალისწინებს და კონკრეტულ ორგანიზაციებს ასახელებს (საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია, კრივის ფედერაცია, ფარიკაობის ფედერაცია და სხვ.), რაც შრომის ბაზართან რეალურ კავშირზე მიუთითებს. შრომის ბაზრის ანალიზი, სახელმწიფო სპორტის პოლიტიკა და საერთაშორისო გამოცდილება პროგრამის საფუძვლად ნახსენებია.

გასაუბრებიდან ვლინდება, რომ პროგრამა შემუშავდა სპორტის ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაციის საფუძველზე, აგრეთვე გათვალისწინებულია აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები და მიწვევას უნივერსიტეტის პროფესორის შეფასება — ეს დადებითია. სწავლის შედეგების შეფასების ცხრილში ჩართულია სტუდენტის თვითშეფასება და პრაქტიკის მენტორის შეფასება, რაც ასახავს მრავალმხრივ ჩართულობას.

დარგობრივი მახასიათებელი ითხოვს, რომ კომპეტენციების მინიმუმ 50% მენეჯმენტის სფეროდან იყოს, დანარჩენი 50% კი შეიძლება გამოყენების სფეროს (სპორტი) ან ზოგად კომპეტენციებს მიეკუთვნებოდეს. პროგრამის ძირითადი სფეროს 160 კრედიტიდან მენეჯმენტის ბირთვული კურსები — მათ შორის მენეჯმენტის საფუძვლები, სტრატეგიული მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, პროექტების მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და ლიდერობა — ნამდვილად 50%-ზე მეტს შეადგენს. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დარგობრივი მახასიათებელი ბაკალავრისთვის 8 სავალდებულო შედეგს განსაზღვრავს. მათი უმეტესობა პროგრამის სწავლის შედეგებში სრულად ან ნაწილობრივ არის დაფარული. კერძოდ, მენეჯმენტის თეორიები, მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ICT-ის გამოყენება, წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია ქართულ და უცხო ენაზე, პრაქტიკული პროექტი და სიტუაციური ანალიზი — ყველა ეს კომპონენტი პროგრამის შედეგებში ამა თუ იმ სახით ასახულია.

დარგობრივი მახასიათებელი ითხოვს ორგანიზაციების, სტრატეგიის, ოპერაციების, ადამიანური რესურსების, ბაზრების, ფინანსებისა და ICT-ის სფეროების დაფარვას. პროგრამის სასწავლო გეგმა ამ ყველა სფეროს შესაბამისი კურსებით მოიცავს.

დარგობრივი მახასიათებლის „კვლევა და განვითარება“ სფერო სამ კომპონენტს მოიცავს — მონაცემების შეგროვება და ანალიზი, აკადემიური წერის ტექნიკები და ინოვაციების მართვის პრინციპები. პროგრამაში ეს სამივე კომპონენტი სხვადასხვა ხარისხით არის წარმოდგენილი.

მონაცემების შეგროვება და ანალიზი ყველაზე უკეთ ჩანს — სტატისტიკა ბიზნესისათვის პირდაპირ ამ კომპეტენციას ემსახურება, ხოლო სწავლის შედეგი №2 (მონაცემების შეგროვება და ანალიზი) მას დამატებით აძლიერებს.

აკადემიური წერის ტექნიკები მხოლოდ ირიბად ჩანს — სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი და ბიზნეს მოლაპარაკება და საკომუნიკაციო უნარები ნაწილობრივ ფარავს ამ კომპეტენციას, თუმცა აკადემიური წერა როგორც დამოუკიდებელი, მიზანმიმართული კომპეტენცია არც ერთ კურსსა და პროგრამაში არ ფიქსირდება.

რეკომენდაცია: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, პროგრამას თან ახლდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები;

რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამას თან ახლავს ორი სახის რუკა: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა (დანართი N3) და სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც პროგრამის ძირითად დოკუმენტშია მოცემული. პირველი რუკა აჩვენებს, თუ რომელი სწავლის შედეგი პროგრამის რომელ მიზანს ემსახურება, მეორე კი — თუ რომელი სასწავლო კურსი სწავლის რომელ შედეგს უზრუნველყოფს და რა დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება). ამ თვალსაზრისით რეკომენდაცია სრულად არის დაკმაყოფილებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები:

- რეკომენდაცია: პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს სასწავლო კურსი აკადემიური წერა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა საერთო ჯამში თანმიმდევრულად არის აგებული. თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია კონკრეტული საზომი კურსი, შეფასების მეთოდი და დრო. შეფასების ცხრილი (დანართი 4) სტრუქტურირებულია და მკითხველს საშუალებას აძლევს თვალი გადაავლოს მთელ სურათს.

შეფასება ხორციელდება პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე — მეორე, მესამე და მეოთხე სასწავლო წლებში, რაც გარკვეულ პერიოდულობაზე მიუთითებს. სპორტის მენეჯმენტის სფეროს სპეციფიკა გათვალისწინებულია იმით, რომ პრაქტიკის მენტორის შეფასება სწორედ მეოთხე წელს, სტაჟირების პარალელურად ხდება.

პროგრამა იყენებს შეფასების ორივე ფორმას. პირდაპირი მეთოდებია შუალედური შეფასება, დასკვნითი გამოცდა და პრეზენტაცია, არაპირდაპირი მეთოდებია პრაქტიკის მენტორის შეფასება და სტუდენტის თვითშეფასება. ეს კომბინაცია სათანადოა და სფეროს სპეციფიკას შეესაბამება.

ყველა 8 სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნული — 60% ან 80% დადებითი შეფასება. ეს დადებითია. შეფასების შედეგები ყველა შემთხვევაში „დადებით შეფასებად“ არის მითითებული, რაც ერთი შეხედვით დამაიმედებელია. თუმცა მონიტორინგის სიღრმე კითხვის ნიშნის ქვეშ დგება — არ ჩანს, რამდენმა სტუდენტმა მიაღწია სამიზნე ნიშნულს, რა იყო საშუალო მაჩვენებელი და ნიშნულის ვერმიღწევის შემთხვევაში რა ღონისძიება განხორციელდა. „დადებითი შეფასება“ ინფორმაციულ ღირებულებას მოკლებულია კონკრეტული მაჩვენებლების გარეშე. ეს სისტემის ყუსუსტი მხარეა, რადგან მონიტორინგი არსებითად შედეგებზე რეაგირების, და არა მხოლოდ მათი ფიქსაციის ინსტრუმენტი უნდა იყოს.

რჩევა. სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლებით გაძლიერდეს. ამჟამად შეფასების შედეგები მხოლოდ „დადებითი შეფასების“ სახით არის მითითებული, რაც არ იძლევა საკმარის ინფორმაციას — კერძოდ, არ ჩანს რამდენმა სტუდენტმა მიაღწია სამიზნე ნიშნულს, რა იყო საშუალო მაჩვენებელი და ნიშნულის ვერმიღწევის შემთხვევაში რა გამოსწორებითი ღონისძიება განხორციელდა. მონიტორინგი მხოლოდ შედეგების ფიქსაციის ახდენს, და არა მათზე რეაგირების ინსტრუმენტია. სასურველია პროგრამამ შეიმუშაოს შეფასების შედეგების დოკუმენტირების უფრო დეტალური ფორმატი, რომელშიც მითითებული იქნება სამიზნე ნიშნულს მიღწეული სტუდენტების პროცენტული მაჩვენებელი, ნიშნულთან შედარების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის გაუმჯობესებისთვის გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები.

რეკომენდაცია 2. რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შემუშავება;

რეკომენდაცია შესრულებულია. პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია ყველა სასწავლო კურსი — თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო და არჩევითი კურსები და პრაქტიკის კომპონენტი. რუკაში თითოეული კურსისთვის მითითებულია, თუ პროგრამის რომელ სწავლის შედეგს ემსახურება და რა დონეზე — გაცნობა (1), გაღრმავება (2) თუ განმტკიცება (3). შესაბამისად, ეს რეკომენდაცია დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია 3. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა და პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა-სქემის ლოგიკურად დაკავშირება კურსის/კომპონენტის შესაბამის სასწავლო შედეგებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკის ანალიზისას სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკაში რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარე გამოიკვეთება.

მესამე სწავლის შედეგთან მიმართებით — „ICT-ის გამოყენებით პრაქტიკული ნაშრომის შემუშავება“ — სპორტის მენეჯმენტი, სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი და გაყიდვები სპორტში ყველა სწავლის შედეგს „3“ დონეზე ემსახურება, რაც გადატვირთულად და არარეალისტურად გამოიყურება. ამასთან, ალოგიკურია ამ შედეგის მიღწევის პროგრესიაც: საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 უზრუნველყოფს გაცნობასა და გაღრმავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიები 2 — გაღრმავებასა და განმტკიცებას, შემდეგ კალკულუსი ისევ გაღრმავებას, ხოლო დანარჩენი სამი კურსი — განმტკიცებას. ეს პროგრესია არათანმიმდევრულია, რადგან კომპეტენციის განმტკიცება და შემდეგ ხელახალი გაღრმავება ლოგიკურ სასწავლო მოდელს ეწინააღმდეგება.

მეოთხე სწავლის შედეგთან — „ამზადებს წერილობით ანგარიშს და იყენებს სახელმწიფო ენას“ — მიმართებით გაუგებარია, თუ რა საფუძვლით ემსახურება კურსი „ბიზნესის საფუძვლები“ ამ შედეგის გაღრმავებას, ვინაიდან კურსის შინაარსი პირველ რიგში ბიზნეს-კონცეფციებს ეძღვნება და არა წერილობით კომუნიკაციას. გარდა ამისა, კურსი „მეწარმეობა“ ამ შედეგის გაღრმავებად არის მითითებული, თუმცა ის სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ ფიქსირდება, რაც სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია და საჭიროებს დაზუსტებას.

მეშვიდე სწავლის შედეგის — „სიტუაციური მაგალითების აღწერა სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური კონტექსტით“ — შემთხვევაში პროგრესია იწყება გაღრმავებიდან და არ ჩანს არცერთი კურსი, რომელიც ამ კომპეტენციის გაცნობას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპი დარღვეულია, რადგან სწავლის შედეგის ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი რუკაში სრულად გამოტოვებულია.

მერვე სწავლის შედეგთან — „სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს ინფორმაციის წერილობით და ზეპირად მიწოდება“ — მიმართებით პროგრესიის ლოგიკა ასევე დარღვეულია. კერძოდ, „სტატისტიკა ბიზნესისათვის“, რომელიც მესამე სემესტრში ისწავლება, ამ შედეგის განმტკიცებად (3) არის მითითებული, ხოლო „ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები“, რომელიც მეოთხე სემესტრში ისწავლება, გაღრმავებად (2). ეს ნიშნავს, რომ კომპეტენცია ჯერ მტკიცდება და მხოლოდ შემდეგ ღრმავდება, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. გარდა ამისა, მერვე სწავლის შედეგს ემსახურება თითქმის ყველა კურსი, რაც ან შედეგის ზედმეტად ზოგად ფორმულირებაზე მიუთითებს, ან კურსებისა და შედეგების კავშირის გადაუმოწმებელ ლოგიკაზე. ორივე შემთხვევაში რუკა საჭიროებს გადახედვას.

რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა
- სწავლის შედეგების რუკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების რუკის გადახედვა და გაუმჯობესება როგორც სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის მიმართების სიზუსტის, ასევე „გაცნობა — გაღრმავება — განმტკიცება“ პრინციპის ლოგიკური გამოყენების თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა ზოგადად შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. 240 კრედიტი, 4 სასწავლო წელი და სემესტრული პრინციპი სტანდარტულია. კურსების შინაარსი — საფუძვლებიდან სპეციფიკური სფეროებისაკენ — ბაკალავრიატის დონის შესაბამისია. თუმცა სუსტი მხარეა ის, რომ კვლევითი კომპონენტი, რომელიც ბაკალავრიატის ბოლო ეტაპისთვის სასურველია, პრაქტიკულად არ ჩანს — არ არის საბაკალავრო ნაშრომი ან მასთან გათანაბრებული კომპონენტი, მაგალითად კაპსტოუნ პროექტი, რომელიც სტუდენტს დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის საშუალებას მისცემდა.

პროგრამა აგებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც კანონმდებლობის მოთხოვნას შეესაბამება. ერთი სემესტრი მოიცავს 19 სასწავლო კვირას, თითოეული

სემესტრი 30 კრედიტს შეიცავს, რაც სტანდარტულია. სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების განაწილება — 180 სავალდებულო და 60 არჩევითი კრედიტი — კანონმდებლობის მოთხოვნებს პასუხობს.

პროგრამის ინდივიდუალურობა უზრუნველყოფილია სპორტის მენეჯმენტის სფეროს სპეციფიკური კომპონენტებით, რომლებიც ბიზნესის ადმინისტრირების ზოგად კურსებს სპორტის კონტექსტში აერთიანებს. კერძოდ, სპორტის ეკონომიკა, სპორტის მარკეტინგი, სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი და გაყიდვები სპორტში — ეს კომბინაცია პროგრამას გამოარჩევს ჩვეულებრივი ბიზნეს-ადმინისტრირების პროგრამებისგან. სტაჟირება კონკრეტულ სპორტულ ფედერაციებში ასევე ინდივიდუალურობის მნიშვნელოვანი ელემენტია.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას — „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში“. ბიზნესის ადმინისტრირების ძირითადი კომპეტენციები — ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ეკონომიკა — ყველა წარმოდგენილია. სპორტის მენეჯმენტის სპეციალიზაცია სწავლის შედეგებს ემსახურება.

პროგრამის სტრუქტურა ზოგადად თანმიმდევრულია. კურსები ლოგიკური პრინციპით არის განლაგებული — ჯერ საფუძვლები, შემდეგ სპეციფიკური კურსები. მაგალითად, მიკროეკონომიკა წინ უსწრებს მაკროეკონომიკას, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები — ფინანსურ აღრიცხვას, ხოლო ფინანსური აღრიცხვა — მმართველობით აღრიცხვას. წინაპირობების სისტემა ადეკვატურია იქ, სადაც გამოყენებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო რპოგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სილაბუსებში ჩამოყალიბებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ზოგადად პასუხობს პროგრამის სწავლის შედეგებს. მაგალითად, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კურსის შედეგები — „განსაზღვრავს ადამიანური რესურსების მართვის ძირითად საფუძვლებს“, „ამზადებს წერილობით ანგარიშს“, „მსჯელობს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან“ — პირდაპირ უკავშირდება პროგრამის მე-4, მე-7 და მე-8 შედეგებს. სტრატეგიული მენეჯმენტის კურსის შედეგები ასევე კარგად ემსახურება პროგრამის მე-1 და მე-6 შედეგებს. სილაბუსებში კურსის შინაარსი ძირითადად შეესაბამება დასახულ სწავლის შედეგებს. კალკულუსის სილაბუსი კარგი მაგალითია — კვირეული თემები ლოგიკურად განვითარდება და პირდაპირ ემსახურება სწავლის შედეგებს. სტატისტიკის სილაბუსიც ასევე თანმიმდევრულია. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სილაბუსში შინაარსი კარგად ასახავს სწავლის შედეგებს.

ყველა სილაბუსში 5 კრედიტი = 125 საათი, საიდანაც 48 საკონტაქტო და 77 დამოუკიდებელი საათია. ეს სტანდარტული და ECTS-ის შესაბამისი განაწილებაა. საკონტაქტო საათები — 15 ლექცია, 30 სემინარი, 1 შუალედური გამოცდა, 2 დასკვნითი გამოცდა — ყველა სილაბუსში ერთნაირია, რაც სისტემურობაზე მიუთითებს, კალკულუსი, რომელიც მათემატიკური ამოცანების მოხსნას მოიცავს, პრაქტიკული მუშაობის მეტ საკონტაქტო დროს მოითხოვდა — და მართლაც, ამ კურსში ლექცია-სემინარის ნაცვლად პრაქტიკული მეცადინეობაა გამოყენებული, რაც სპეციფიკის გათვალისწინებაზე მიუთითებს. საინფორმაციო ტექნოლოგიების სილაბუსში კი მთლიანად პრაქტიკული მეცადინეობაა, ეს სწორი მიდგომაა კომპიუტერული კურსისთვის.

სილაბუსების უმეტესობაში ყველა სწავლის შედეგი ფასდება — შეფასების რუქა სილაბუსის სტანდარტული ნაწილია და თითოეული შედეგი კონკრეტული შეფასების კომპონენტს უკავშირდება. ეს კარგი პრაქტიკაა.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, გარკვეული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (ბუღალტერიის საფუძვლები, ბიზნეს სამართალი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციათა მენეჯმენტი, სპორტული მარკეტინგი) უახლესი ქართული გამოცემებით ან ქართული რიდერების მომზადება თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურისთვის;

- რეკომენდაცია შესრულებულია — კურსების მიხედვით სურათი განსხვავებულია.
- ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები — რეკომენდაცია შესრულებულია. სილაბუსი განახლებულია 2025 წელს და სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია საბაური/კვატაშიძის „შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში“ (2020) და მისი სავარჯიშოების კრებულის ახალი ელექტრონული ვერსია (2024). ეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა.
- ბიზნეს სამართალი — რეკომენდაცია შესრულებულია. სავალდებულო

ლიტერატურად გამოყენებულია კიკილაშვილის „ბიზნეს სამართალი" (2023), რაც თანამედროვე ქართული გამოცემაა. დამხმარე ლიტერატურად კი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობაა მოცემული, რაც ამ კურსისთვის სრულიად ადეკვატურია.

- სპორტის მარკეტინგი — რეკომენდაცია შესრულებულია. სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია „Sport Marketing" მე-5 გამოცემა (დის, უოლში, მაქეგოი, მაქელვეი, 2021), რაც სფეროს ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო სახელმძღვანელოა. სილაბუსშივეა მითითებული, რომ უცხოენოვანი მასალა რიდერების სახით გამოიყენება.
- ოპერაციული მენეჯმენტი — ამ კურსის სილაბუსი პროექტში ატვირთული სილაბუსებიდან ვერ მოიძებნა, შესაბამისად ამ კონკრეტული კურსის შეფასება ვერ ხორციელდება.
- ადამიანური რესურსების მენეჯმენტი — რეკომენდაცია შესრულებულია. სავალდებულო ლიტერატურა 2019 წლის ქართული სახელმძღვანელოა (პაიჭაძე), ხოლო დამხმარე ლიტერატურა 2012 წლის გამოცემა (ლომაია).

რეკომენდაცია გათვალისწინებულია

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, კურსის „ლიდერობა“ შინაარსის კორექტირება მისი სათაურის შესაბამისად და რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ლიდერობის საკითხებს;

რეკომენდაცია შესრულებულია და გაუმჯობესებესებულია .

განახლებულ სილაბუსში კურსის მთელი შინაარსი — 16 სასწავლო კვირა — მთლიანად ლიდერობის თემებს ეძღვნება. კვირეული თემები თანმიმდევრულად მოიცავს ლიდერობის არსს, უნივერსალურ მოდელს, ლიდერობის ეფექტურობასა და ბიზნეს ეფექტიანობას, ლიდერთა განვითარების პროგრამებს, ლიდერობის დონეებს, გლობალურ და კულტურათშორის ლიდერობას, რეაქციულ და შემოქმედებით ლიდერობას, ლიდერობის ექვს პრაქტიკულ მიდგომას და ინტეგრალური ლიდერობის კონცეფციას.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ სავალდებულო ლიტერატურადაც შეიცვალა — ძირითად წყაროდ გამოყენებულია რობერტ ანდერსონისა და უილიამ ადამსის „ლიდერობის მანიფესტი" (2023), რაც თანამედროვე და პირდაპირ ლიდერობის სფეროს მიმდევნილი გამოცემაა. დამხმარე ლიტერატურადაც ლიდერობის სპეციალიზებული სახელმძღვანელოებია — ნორთჰაუზის „ლიდერობა: თეორია და პრაქტიკა" და ბრაიან თრეისის „ლიდერობა" (2022).

რეკომენდაცია:

მიუთითეთ, უცხო ენის ცოდნის კუთხით, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები, იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ინგლისური ენა სათანადო დონეზე არ იციან.

რეკომენდაცია სრულად შესრულებულია და ეს ერთ-ერთი ყველაზე სისტემური გაუმჯობესებაა პროგრამაში.

რეკომენდაცია ორ კომპონენტს შეიცავდა — დაშვების მოთხოვნების მითითება და სუსტი ინგლისური ენის მქონე სტუდენტებისთვის კურსების შექმნა. ორივე კომპონენტი დაკმაყოფილებულია.

პროგრამის განახლებულ დოკუმენტში გაწერილია, რომ სტუდენტი უფლებამოსილია ინგლისური ენის ცოდნის დონე დაადასტუროს შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის შესაბამისად და სწავლას იწყებს გამოცდის შედეგად განსაზღვრული დონიდან — ეს ნათლად ასახავს დაშვების მოთხოვნების ლოგიკას.

კურსების თვალსაზრისით კი 2025 წელს სასწავლო გეგმაში დამატებულია ორი ინტენსიური კურსი — „ინგლისური ენა B1 (ინტენსიური)" და „ბიზნეს ინგლისური (ინტენსიური)". B1

ინტენსიური კურსი სწორედ იმ სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, რომლებიც პროგრამაზე მოსვლისას ინგლისურს დაბალ დონეზე ფლობენ. კურსი 5 კრედიტიანია, ორივე სემესტრს მოიცავს და ოთხივე ენობრივ უნარს — მოსმენას, კითხვას, წერასა და ლაპარაკს — სისტემურად ავითარებს. სილაბუსი დამტკიცებულია 2025 წლის 12 სექტემბერს, რაც ადასტურებს, რომ ეს პასუხი პირდაპირ რეკომენდაციაზე გამოხმაურებაა.
რეკომენდაცია გათვალისწინებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა
